თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3964808

ნომერი: AR1599813

თარიღი : 09.05.2018

გაცემის თარიღი : 16.05.2018

გაცნობის თარიღი : 16.05.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 134;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლავრენტი ლავრელაშვილი პ/ნ 01016007283
- თბილისი ც.დადიანის ქ. II მ/რ კორ. 2 ბ. 169

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:
აღნიშნული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს ზოგად საცხოვრებელ ზონაში (სზ)–ში. ვინაიდან წარმოდგენილი ტერიტორიისთვის გენერალური გეგმის მიხედვით არ არის დადგენილი კონკრეტული ქვეზონა (სზ), სამსახურის მიერ მიწის ნაკვეთის განვითარება საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) ან საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2)-ის შესაბამისად შეიძლება იყოს განხილული.
ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (ვიზუალიზაციიდან) ირკვევა, რომ საპროექტო ობიექტი წარმოადგენს ავტოსამრეცხაოს, რომელის განთავსებაც დაუშვებელია ზემოაღნიშნულ ზონებში, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.